

შპს თბილსერვის ჯგუფი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძვლები	12
3. შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია.....	12
4. ძირითადი საშუალებები	13
5. არამატერიალური აქტივები.....	14
6. სხვა გრძელვადიანი აქტივები	14
7. მარაგები.....	15
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება.....	15
9. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	16
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	16
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	16
12. საწესდებო კაპიტალი	16
13. გადავადებული შემოსავალი	17
14. მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები.....	18
15. შრომის ანაზღაურება	18
16. გამოყენებული ნედლეულები და მასალები	18
17. კომუნალური ხარჯი	18
18. საწვავის ხარჯი.....	18
19. საგადასახადო ხარჯი	18
20. სხვა საოპერაციო ხარჯი	18
21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	19
22. ფინანსური ინსტრუმენტები	19
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
24. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები.....	22
25. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	22
მმართველობითი ანგარიშგება.....	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (შემდგომში, „ჯგუფი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საწესდებო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში საწესდებო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი წარდგენილია, შესაბამისად, 452,176 და 563 ათასი ლარით.

საწესდებო კაპიტალთან მიმართებით, ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა 86,200 ათასი ლარის ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ეს ოპერაციები, ძირითადად მოიცავენ პერიოდს 2009 წლიდან 2012 წლამდე. ჩვენთვის, და ჯგუფის ამჟამინდელი ხელმძღვანელობისათვის, უცნობია ამ ოპერაციათა დეტალები, შინაარსი და შესაბამისად - გაზომვისა და წარდგენის შესაბამისობა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

გადაფასების რეზერვი ფორმირებულია 2016 წელს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სხვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების შერწყმის შედეგად, მაგრამ უცნობია თუ რომელ კონკრეტულ აქტივებს უკავშირდება აღნიშნული რეზერვი, არსებობდნენ თუ არა ეს აქტივები ჯგუფის საკუთრებაში ან ექსპლუატაციაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოიცავს ისეთ მიდგომას, რომელიც განაპირობებს გადაფასების რეზერვის არსებობას.

ამავე მიზეზებით იყო მოდიფიცირებული კაპიტალთან მიმართებით ჯგუფის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამორბედი აუდიტორის მიერ გაცემული აუდიტორის დასკვნა

საგადასახადო აქტივი - ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები საგადასახადო აქტივის ნაშთზე, რადგან ჯგუფმა ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო აქტივის ნაშთზე, რომელიც ფუნანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,318 ათასი ლარის ოდენობით ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,236 ათასი ლარი.

კაპიტალიზებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხი და ნაგავსაყრელის დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხი - ჯგუფი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით არ ადგენს კაპიტალიზებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხს და ნაგავსაყრელის დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხს, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური აქტივები - ჯგუფი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სუბიექტს, ყოველწლიურად მას უსასყიდლოდ გადაეცემა. 2022 წლის 1 იანვრამდე უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური აქტივები არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით. ეს გადმოცემები შეფასებულია დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ნომინალური ღირებულებით, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,261 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 4,430 ათასი ლარი). ფას-ების შესაბამისად ასეთი ოპერაციები უნდა იქნას შეფასებული ფასს-13, „სამართლიანი ღირებულების შეფასება“-ს შესაბამისად გამოთვლილი რეალური ღირებულებით, ხოლო სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის - ასახული კაპიტალის ცალკე მუხლში. ჩვენი აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, რა გავლენა შეიძლება ქონდეს ნომინალურ და სამართლიანი ღირებულებით ამ ოპერაციების გაზომვას შესაბამისი პერიოდების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე ტესტირება - ჯგუფის აკუმულირებული ზარალი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 339,903 ათას ლარს (2023: 341,802 ათასი ლარი). მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კრიტიკული სოციალური მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებელს, მისი მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დამფუძნებლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან, დაფინანსებაზე. ეს ფაქტორები მიუთითებს ბასს 36 - აქტივების გაუფასურებით განმარტებულ საწარმოს აქტივების გაუფასურების ნიშნებზე. ამავე სტანდარტის მე-9 პუნქტის მიხედვით, ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში: „საწარმო ვალდებულია შეაფასოს საწარმოს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება“. ამგვარად, ჯგუფი ვალდებულია ჩაატაროს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურებაზე ტესტირება ყოველი ბალანსის თარიღისათვის. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, რა გავლენა შეიძლება ქონდეს ბასს 36-ის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებულ გაუფასურებაზე ტესტირებას შესაბამისი პერიოდების ფინანსურ შედეგსა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა - ჯგუფი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების მიმართ, არ ადგენს სასარგებლო მომსახურების ვადებს რაც წარმოადგენს გადახვევას ბასს 16-ით დადგენილი მიდგომებიდან. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა თუ რა გავლენა აქვს ამ გადახვევას ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის საბალანსო ღირებულებებზე, აგრეთვე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახულ ცვეთის, ამორტიზაციის და ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებულ მოგებასა და ზარალზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2-ე ახსნა-განმარტებითი შენიშვნის ნაწილზე, რომელშიც აღწერილია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ფინანსური ანგარიშგების განგრძობით ფუნქციონირების დაშვების გამოყენებით წარდგენის შესახებ, სადაც აღწერილია რომ იუხედავად ზარალებისა, ჯგუფი არ განიცდის ფულადი სახსრების დეფიციტს, რადგან მისი საქმიანობა უზრუნველყოფილია მუნიციპალური მოსაკრებლებითა და ბიუჯეტური ტრანსფერებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 ახსნა-განმარტებითი შენიშვნის ნაწილზე, რომელშიც აღწერილია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაციასთან დაკავშირებით ბასს 20-თან შესაბამისობისთვის, რომელიც ეხებოდა კაპიტალური დაფინანსებით შესყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გადატანას მიღებული სუბსიდიების ნაწილზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც მოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 30 ოქტომბერს. მოდიფიცირების მიზეზების და ამ მიზეზების მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა მოცემულია პირობითი მოსაზრების საფუძველის ნაწილში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვუვალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე/ სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

შპს „მორ ეიზისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 12 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	158,501	106,905
არამატერიალური აქტივები	5	400	439
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	1,338	1,128
სულ გრძელვადიანი აქტივები		160,239	108,472
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	24,403	27,075
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	8	6,507	5,291
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	9	2,552	7,179
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	30,100	14,506
სულ მოკლევადიანი აქტივები		63,562	54,051
სულ აქტივები		223,802	162,523
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	452,176	433,359
აკუმულირებული ზარალი		(339,903)	(341,802)
გადაფასების რეზერვი		563	563
სულ საკუთარი კაპიტალი		112,836	92,120
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	59,243	27,303
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		59,243	27,303
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	28,074	33,396
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	23,446	9,417
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები		203	287
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		51,723	43,100
სულ ვალდებულებები		110,966	70,403
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		223,802	162,523

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა,
დირექტორი

ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

შპს "თბილსერვის ჯგუფი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	158,501	106,905
არამატერიალური აქტივები	5	400	439
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	1,338	1,128
სულ გრძელვადიანი აქტივები		160,239	108,472
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	24,403	27,075
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	8	6,507	5,291
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	9	2,552	7,179
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	30,100	14,506
სულ მოკლევადიანი აქტივები		63,562	54,051
სულ აქტივები		223,802	162,523
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	452,176	433,359
აკუმულირებული ზარალი		(339,903)	(341,802)
გადაფასების რეზერვი		563	563
სულ საკუთარი კაპიტალი		112,836	92,120
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	59,243	27,303
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		59,243	27,303
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	28,074	33,396
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	23,446	9,417
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები		203	287
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		51,723	43,100
სულ ვალდებულებები		110,966	70,403
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		223,802	162,523

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა,
დირექტორი



ბექა გოგილიძე,

დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	14	39,394	38,179
მიღებული სუბსიდიები	13	159,675	116,762
საიჯარო შემოსავალი		759	725
სულ შემოსავალი		199,828	155,666
შრომის ანაზღაურება	15	(112,606)	(93,456)
ცვეთა და ამორტიზაცია	4, 5	(22,014)	(17,435)
გამოყენებული ნედლეული და მასალები	16	(18,837)	(17,752)
კომუნალური ხარჯი	17	(16,926)	(17,592)
საწვავის ხარჯი	18	(13,518)	(12,936)
საგადასახადო ხარჯი	19	(6,052)	(5,635)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	7	(2,235)	(117)
გაუფასურების რეზერვის შემცირება/ზრდა	8	1,294	2,043
იჯარის ხარჯი		(331)	(204)
სხვა საოპერაციო ხარჯი	20	(10,759)	(8,254)
ფინანსური შემოსავლები (ნეტო)	10	2,626	2,024
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		1,429	336
მიმდინარე წლის ზარალი		1,899	(13,312)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		1,899	(13,312)

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა,
დირექტორი

ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში


შპს "თბილსერვის ჯგუფი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	14	39,394	38,179
მიღებული სუბსიდიები	13	159,675	116,762
საიჯარო შემოსავალი		759	725
სულ შემოსავალი		199,828	155,666
შრომის ანაზღაურება	15	(112,606)	(93,456)
ცვეთა და ამორტიზაცია	4, 5	(22,014)	(17,435)
გამოყენებული ნედლეული და მასალები	16	(18,837)	(17,752)
კომუნალური ხარჯი	17	(16,926)	(17,592)
საწვავის ხარჯი	18	(13,518)	(12,936)
საგადასახადო ხარჯი	19	(6,052)	(5,635)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	7	(2,235)	(117)
გაუფასურების რეზერვის შემცირება/ზრდა	8	1,294	2,043
იჯარის ხარჯი		(331)	(204)
სხვა საოპერაციო ხარჯი	20	(10,759)	(8,254)
ფინანსური შემოსავლები (ნეტო)	10	2,626	2,024
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		1,429	336
მიმდინარე წლის ზარალი		1,899	(13,312)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		1,899	(13,312)

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.



გიორგი პაპავა,
დირექტორი



ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები		53,974	47,169
მუნიციპალიტეტის სუბსიდიები	12	145,935	112,695
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები		(205,075)	(178,115)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(5,166)	(18,251)
მიღებული პროცენტი	9	2,626	2,023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(2,540)	(16,228)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(22,009)	(20,265)
გარანტიის სახით ბანკიდან ჩამოჭრილი თანხები		(751)	(378)
გარანტიის ჩამოჭრილი თანხების დაბრუნება		536	398
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(22,224)	(20,245)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი აქტივებთან დაკავშირებული მიზნობრივი დაფინანსება	12	40,358	43,428
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		40,358	43,428
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	14,506	7,551
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	30,100	14,506

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა,
დირექტორი

ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

შპს "თბილსერვის ჯგუფი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები		53,974	47,169
მუნიციპალიტეტის სუბსიდიები	12	145,935	112,695
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები		(205,075)	(178,115)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(5,166)	(18,251)
მიღებული პროცენტი	9	2,626	2,023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(2,540)	(16,228)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(22,009)	(20,265)
გარანტიის სახით ბანკიდან ჩამოჭრილი თანხები		(751)	(378)
გარანტიის ჩამოჭრილი თანხების დაბრუნება		536	398
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(22,224)	(20,245)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი აქტივებთან დაკავშირებული მიზნობრივი დაფინანსება	12	40,358	43,428
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		40,358	43,428
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	14,506	7,551
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	30,100	14,506

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გ. პაპავა

გიორგი პაპავა,
დირექტორი



ბექა გოგილიძე

ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	433,234	563	(328,490)	105,307
საწესდებო კაპიტალის შემცირება პერიოდის სრული ზარალი	125	-	-	125
	-	-	(13,312)	(13,312)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	433,359	563	(341,802)	92,120
საწესდებო კაპიტალის შემცირება პერიოდის სრული ზარალი	18,817	-	-	18,817
	-	-	1,899	1,899
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	452,176	563	(339,903)	112,836

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გორგი პაპავა,
დირექტორი

ბექა გოგილიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში


შპს "თბილისერვის ჯგუფი"

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	433,234	563	(328,490)	105,307
საწესდებო კაპიტალის შემცირება პერიოდის სრული ზარალი	125	-	-	125
	-	-	(13,312)	(13,312)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	433,359	563	(341,802)	92,120
საწესდებო კაპიტალის შემცირება პერიოდის სრული ზარალი	18,817	-	-	18,817
	-	-	1,899	1,899
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	452,176	563	(339,903)	112,836

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.



გიორგი პაპავა,
დირექტორი



ბეკა გოგოლიძე,
დირექტორის მოადგილე საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „თბილსერვის ჯგუფი“ და მისი შვილობილი კომპანიების ინფორმაციას. შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (ჯგუფი) რეგისტრირებულია საქართველოში, როგორც შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 206267494. ჯგუფი დაფუძნდა 2006 წლის 18 დეკემბერს, 2008 წლის 26 სექტემბერს მას შეერწყა შპს „დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სანიტარული დასუფთავების სპეციალიზებული ავტომეურნეობა“ (202887484), 2016 წლის 16 მაისს - შპს „სინათლის ქალაქი“ (406038684), შპს „უძრავი ქონება-თბილისი“ (203826173) და შპს „თბილისის პარკები“ (202365573). ჯგუფის საქმიანი და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატ., №67. 100% წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (204521794).

ჯგუფი ფლობს საქართველოში რეგისტრირებულ ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	რეგისტრაციის თარიღი	წილის %	კონტროლის მოპოვების თარიღი
შპს გლდანის ნამალადევის გამწვანების უბანი #2	21/09/2000	100%	3/31/2017
შპს გლდანის ნამალადევის რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურების ზღვის უბნის #2 სერვისული ცენტრი	06/01/2000	100%	3/31/2017
შპს გლდანის ნამალადევის რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურების ზღვის უბნის #3 სერვისული ცენტრი	06/01/2003	100%	3/31/2017
შპს ტყე-პარკების და შემოგარენის საწარმო	03/07/2000	100%	3/31/2017
შპს ისან-სამგორის რაიონის საბინაო კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრი #1	18/11/2022	100%	3/31/2017
შპს ისან-სამგორის რაიონის საბინაო კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრი #3	18/11/2022	100%	3/31/2017
შპს მუხიანის დასახელება #2 უბნის საბინაო კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრი	06/01/2003	100%	3/31/2017
შპს ვაკე-საბურთალოს რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრი ნუცუბიძის პლატო 2	05/08/2002	100%	3/31/2017

ჯგუფის შვილობილ კომპანიებს 2024-2023 წლებში არ განუხორციელებიათ არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდნენ არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს, განცალკევებულად ან ერთობლივად. ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისაგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის მასშტაბით დასუფთავების საკითხების მოწესრიგება-ხელშეწყობა და სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობა; კომპეტენციის ფარგლებში დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება; დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების მართვის სფეროს რეგულირებისათვის საჭირო წესების/პროექტების შემუშავება და განხორციელება; ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა და მართვა; ქუჩებზე, მოედნებზე, გზატკეცილებზე არსებული სანიაღვრე ჭების, გვერდმდებლების და სადრენაჟო ქსელის შეკეთება; რეორგანიზაციის შემდეგ ჯგუფის საქმიანობას დაემატა თბილისის პარკების მოვლა-პატრონობა; უზუფრუქტით მიღებული მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და გაქირავება; ასევე თბილისის მასშტაბით გარე განათებისათვის საჭირო სანათი მოწყობილობების შემოტანა, დამზადება, რეალიზაცია, მიმდინარეს შეკეთება და ახალი ქსელების მშენებლობა.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 5,356 (2023: 5,219).

2. მომზადების საფუძველები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასსების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ფაქტობრივად წარმოდგენილია მხოლოდ მშობელი კომპანიის - შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს სახით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სრული წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კრიტიკული სოციალური მომსახურების - დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის - ექსკლუზიურ მიმწოდებელს. მიუხედავად აკუმულირებული და საანგარიშგებო ზარალებისა, ჯგუფი არ განიცდის ფულადი სახსრების დეფიციტს (რაც თვისთავად უზრუნველყოფილია სათანადო მუნიციპალური მოსაკრებლებითა და ბიუჯეტიდან ტრანსფერებით). ასევე, დამფუძნებლის მიერ ჯგუფის ან კომპანიის რეორგანიზაციის გეგმების შესახებ არ არის ცნობილი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე არსებობს სათანადო მუნიციპალური ნორმატიული აქტები (ბიუჯეტი), რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის (ჯგუფის) შეუფერხებელ ფუნქციონირებას მომდევნო 12 თვის განმავლობაში. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა - არსებითი (მატერიალური) ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგებებში წარდგენილი ელემენტების (მუხლების) მიმართ მოცემულია ამ ელემენტის (მუხლის) შესაბამის მონეტარულ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მონეტარული ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შემდგომ.

3. შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია

წინა პერიოდში ჯგუფს კაპიტალური დაფინანსებით შეძენილი ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი წარმოდგენილი ჰქონდა ნეტო ეფექტით, რაც არ შეესაბამებოდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის 20-ის მოთხოვნებს.

შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში აღნიშნული თანხა იქნა რეკლასიფიცირებული და წარმოდგენილი შესაბამის მუხლებში - „ცვეთა და ამორტიზაცია“ და „მიღებული სუბსიდიები“, ჯამური ღირებულებით 4,068 ათასი ლარი.

აღნიშნულ რეკლასიფიცირებას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის წმინდა მოგებაზე, აქტივებსა და კაპიტალზე.

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	სპეციალური ინსტრუმენტები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ილუმინაციები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება								
2022 წლის 31 დეკემბერს	38,048	29,993	2,037	91,721	12,242	134	4,360	178,535
დამატება	-	5,449	587	8,711	2,500	-	3,032	20,279
გასვლა	-	(1,441)	(26)	-	(28)	(3)	-	(1,498)
შიდა მოძრაობა	21	-	-	34	-	-	-	55
უსასყიდლოდ მიღებული	5,010	-	-	-	-	-	(5,010)	-
საწესდებო კაპიტალში შეტანა	125	-	-	-	-	-	-	125
2023 წლის 31 დეკემბერს	43,204	34,001	2,598	100,466	14,714	131	2,382	197,496
დამატება	260	23,616	348	27,388	19	-	9,944	61,576
გასვლა	(73)	(1,685)	(8)	(1,647)	(148)	-	-	(3,562)
შიდა მოძრაობა	-	-	-	14,129	-	-	-	14,129
2024 წლის 31 დეკემბერს	43,391	55,932	2,938	140,337	14,584	131	12,326	269,639
ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერს	(10,445)	(16,375)	(1,379)	(40,667)	(5,460)	(99)	-	(74,425)
გასული ცვეთა	-	1,126	22	-	12	3	-	1,163
პერიოდის ცვეთა	(1,071)	(3,442)	(182)	(11,104)	(1,525)	(5)	-	(17,329)
2023 წლის 31 დეკემბერს	(11,516)	(18,691)	(1,539)	(51,771)	(6,973)	(101)	-	(90,591)
გასული ცვეთა	-	1,018	6	248	101	-	-	1,375
პერიოდის ცვეთა	(1,204)	(4,979)	(229)	(13,838)	(1,667)	(4)	-	(21,922)
2024 წლის 31 დეკემბერს	(12,720)	(22,652)	(1,762)	(65,360)	(8,539)	(105)	-	(111,138)
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
2023 წლის 31 დეკემბერს	31,688	15,310	1,059	48,695	7,741	30	2,382	106,905
2024 წლის 31 დეკემბერს	30,671	33,280	1,176	74,976	6,046	26	12,326	158,501

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. ამასთანავე, როგორც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ჯგუფი, როდესაც ხდება აქტივების, მათ შორის - ძირითადი საშუალებების სხვა სახელმწიფო სუბიექტის (ან სახელმწიფო კომპანიიდან) გადმოცემა (ან გადაცემა), ნომინალური (გადმომცემი სუბიექტის მიერ მოწოდებული ღირებულებით) ღირებულებით. ამგვარი ნომინალური ღირებულება მიჩნეულია ისტორიულ ღირებულებად, ჯგუფი არ ახორციელებს რაიმე დამატებით პროცედურებს ღირებულების გამოკვლევის ან მისი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა/შედარების მიზნით.

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საკუთარი გამოყენებისათვის გამიზნული უძრავი ქონების აღნაგობის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციას

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, სხვა შემოსავალი/(ხარჯის) მუხლში.

შპს “თბილისერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების განცალკავებულად აღრიცხული კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება შესაბამისი კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთა გამოთვლილია მათი ექსპლואტაციაში მიღების თარიღიდან, შემცირებადი ბალანსის მეთოდის გამოყენებით, მითითებული წლიური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით:

	გამოყენებული პროცენტები
შენობა-ნაგებობები	5
მანქანა-დანადგარები	20
სპეციალური ინსტრუმენტები	20,10
საოფისე აღჭურვილობა	20
სატრანსპორტო საშუალებები	20
სხვა	20

ჯგუფს არ აქვს განსაზღვრული ძირითადი საშუალებებისათვის სასიცოცხლო ვადები, ამრიგად, ამ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდება მათი ექსპლואტაციაში ყოფნის სრულ პერიოდებზე.

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
ისტორიული ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერს	1,339
შემენა	-
2023 წლის 31 დეკემბერს	1,339
შემენა	54
2024 წლის 31 დეკემბერს	1,393
ამორტიზაცია:	
2022 წლის 31 დეკემბერს	(794)
პერიოდის ამორტიზაცია	(106)
2023 წლის 31 დეკემბერს	(900)
პერიოდის ამორტიზაცია	(92)
2024 წლის 31 დეკემბერს	(992)
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2023 წლის 31 დეკემბერს	439
2024 წლის 31 დეკემბერს	400

არამატერიალური აქტივები, რომელიც ჯგუფში წარმოდგენილია მხოლოდ სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფით, აღრიცხული დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით.

ამორტიზაცია გამოთვლილია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, წლიური 5-20 პროცენტამდე განაკვეთის გამოყენებით.

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
შეზღუდული ფული	592	343
ძირითად საშუალებაში გადახდილი დღგ	703	742
სხვა გრძელვადიანი აქტივები	43	43
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,338	1,128

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები (გაგრძელება)

შეზღუდული ფული წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიისათვის მომსახურების გაწევის პროცესში, გაფორმებული კომერციული ხელშეკრულებებისათვის განკუთვნილი საბანკო გარანტიების შესატყვისად, ჯგუფის მიმდინარე ანგარიშებზე გარანტიის გამცემი ბანკის მიერ გაყინულ ფულად ნაშთებს. ამ გარანტიების რეალიზებას ჯგუფი მოელის ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივ პერიოდში.

ძირითად საშუალებაში გადახდილი დღგ წარმოადგენს მოქმედი საგადასახადო კოდექსით მომავალ პერიოდში ჩასათვლელ დღგ-ს აქტივს. რომელიც, ოპერირების დეტალების გათვალისწინებით, ჩაითვლება მომავალი 5-10 წლის განმავლობაში.

7. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
მასალები	32,104	32,541
გაუფასურების რეზერვი	(7,701)	(5,466)
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	24,403	27,075

<i>გაუფასურების რეზერვის ცვლილება:</i>	2024	2023
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	5,466	5,349
ანარიცხის ზრდა	2,235	117
ნაშთი პერიოდის ბოლოს	7,701	5,466

ჯგუფის მარაგები შედგება საკუთრი მოხმარების საექსპლუატაციო მარაგებიდან (საწვავი, სათადარიგო ნაწილები, ერთჯერადი მოხმარების სანიტარული აღჭურვილობა და საშუალებები).

მარაგების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ - აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯებს. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მერიიდან ან სხვა სახელმწიფო სუბიექტისგან უსასყიდლოდ გადმოცემული მარაგების მოწოდებული ნომინალური ღირებულება მიიჩნევა თვითღირებულებად.

გაუფასურების რეზერვი გამოთვლილია და წარმოადგენს უძრავი მარაგების საბალანსო ღირებულების 100%-იან ანარიცხს. ასეთი მარაგები წარმოადგენენ სხვადასხვა დროს შესყიდულ და დასაწყობებულ მატერიალურ ფასეულობებს, რომელთა სრულად გამოყენება ვერ მოხდა და ხელმძღვანელობისათვის უცნობია როდის შეიძლება მოხდეს მათი მოხმარება ან რაიმე სხვა ფორმით რეალიზება.

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,100	7,178
საექვო ვალების რეზერვი	(593)	(1,887)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,507	5,291

<i>გაუფასურების რეზერვის ცვლილება:</i>	2024	2023
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1,887	3,929
ანარიცხის შემცირება	(1,294)	(2,041)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	593	1,887

სავაჭრო დებიტორული დავალიანება წარმოადგენს სხვადასხვა პირებთან მომსახურების ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე შესრულებულ სამუშაოებთან აღიარებული შემოსავლების ბალანსის თარიღისათვის არ მიღებულ კომპენსაციას.

საექვო ვალების რეზერვი წარმოადგენს 12 თვეზე მეტი დაძველების სავაჭრო დებიტორების 100%-იანი გაუფასურების ანარიცხს. ამ დებიტორების მიმართ ჯგუფის ხელმძღვანელობა მიმართავს კანონით დაშვებულ ამოღების პროცედურებს - მათ შორის სასამართლოს გზით. ხელმძღვანელობა მოელის, რომ დავების უმეტესობა გადაწყდება ჯგუფის სასარგებლოდ.

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
შეზღუდული ფული	78	401
გადახდილი ავანსები	57	5,027
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,417	1,751
სულ გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	2,552	7,179

შეზღუდული ფული წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიისათვის მომსახურების გაწევის პროცესში, გაფორმებული კომერციული ხელშეკრულებებისათვის განკუთვნილი საბანკო გარანტიების შესატყვისად, ჯგუფის მიმდინარე ანგარიშებზე გარანტიის გამცემი ბანკის მიერ გაყინულ ფულად ნაშთებს. ამ გარანტიების რეალიზებას ჯგუფი მოელის ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში.

გადახდილი ავანსები აღიარდება გაცემული ფულადი რესურსების ტოლფასი ღირებულებით. ავანსები წარმოადგენენ სათანადო ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურებისა თუ საქონლის მიღებამდე წინსწრებით გადახდილ თანხებს. ჯგუფი მოელის, რომ ავანსების რეალიზება მოხდება ბალანსის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში, ავანსები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი და წარმოადგენს გრძელვადიანი აქტივების ნაწილს.

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოადგენს ჯგუფის ნეტო საგადასახადო აქტივს, რომლის განაღდებაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფს შეუძლია მოთხოვნისამებრ.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	30,100	14,506
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,100	14,506

ფული საბანკო ანგარიშებზე წარმოადგენილია მიმდინარე ანგარიშებზე მოთხოვნამდე არსებული ნაშთებით, ჯგუფს არ გააჩნია გრძელვადიანი ანაზრები. მიმდინარე ანგარიშებზე ჯგუფს ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 21.2%-დან 23.18%-მდე (2023: 18%-დან 30%-მდე) ოდენობით. 2024 და 2023 წელს დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 2,626 და 2,024 ათასი ლარი, შესაბამისად (წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ფინანსური შემოსავლების (ნეტო) მუხლში).

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	21,851	8,190
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს წინაშე	1,000	844
სხვა კრედიტორული დავალიანება	243	31
პირობითი ვალდებულებების რეზერვი	352	352
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23,446	9,417

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს, როგორც წესი - 30 დღემდე ხანდაზმულობის ვადის მქონე (მაგრამ არა 12 თვეზე მეტი), შესყიდულ და მიღებულ მომსახურებასა და საქონელთან დაკავშირებულ მოკლევადიან დავალიანებებს.

12. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის საკუთარ კაპიტალში პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. საწესდებო კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალი:

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფის დამფუძნებლის მიერ (სახელმწიფო, ქალაქ თბილისის მერია) და ფორმირებულია როგორც ფულადი სახის ასევე არაფულადი აქტივის სახით შენატანით. ჯგუფის კაპიტალი 2024 წელს გაიზარდა 20,142 ათასი ლარით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 452,176 ათასი ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 433,359 ათასი ლარი).

13. გადავადებული შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
გადავადებული შემოსავალი - გრძელვადიანი აქტივები	27,303	16,876
გადავადებული შემოსავალი (მოკლევადიანი) - მიღებული და აუთვისებელი დაფინანსება	33,396	4,593
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	60,699	21,469
მიღებული დაფინანსება	40,358	43,311
მიზნობრივი დაფინანსებით შესყიდული აქტივების ცვეთა	(13,740)	(4,068)
მიზნობრივი დაფინანსებით შემენილი აქტივების ჩამოწერა	-	(13)
გადავადებული შემოსავალი - გრძელვადიანი აქტივები	59,243	27,303
გადავადებული შემოსავალი (მოკლევადიანი) - მიღებული და აუთვისებელი დაფინანსება	28,074	33,396
ნაშთი პერიოდის ბოლოს	87,317	60,699
მიმდინარე ხარჯების დაფინანსება - სუბსიდიები		
მიღებული დაფინანსება	145,935	112,695
მიზნობრივი დაფინანსებით შესყიდული აქტივების ცვეთის თანხის აღიარება შემოსავალად	13,740	4,068
სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარება	(159,675)	(116,762)
სულ მიმდინარე ხარჯების დაფინანსება - სუბსიდიები	-	-
სულ გადავადებული შემოსავლები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	87,317	60,699

ჯგუფი დამფუძნებლისგან, ქალაქ თბილისის მერიისგან იღებს ბიუჯეტით დაგეგმილ ორი ტიპის ტრანსფერს:

(ა) სუბსიდიები (ოპერაციული მიზნებისათვის)

სუბსიდიები წარმოადგენს ჯგუფი საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე და განსაკუთრებული გარემოებებით განპირობებული ხარჯების საკომპენსაციოდ. ეს მოიცავს, როგორც ქალაქ თბილისის მოსახლეობისაგან მოსაკრებლის სახით შეგროვებულ თანხებს (რომელიც, დადგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, ყოველთვიურად ერიცხება ჯგუფს, აგრეთვე ქალაქ თბილისის მერიის განკარგულებით, კონკრეტული პროფილური დავალებების შესრულებისათვის განხორციელებულ ტრანსფერებს.

ჩარიცხული სუბსიდიის თანხა, მიღებისთანავე აღირიცხება როგორც შემოსავალი.

(ბ) კაპიტალური ტრანსფერები

კაპიტალური ტრანსფერები განკუთვნილია გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის, შექმნის ან რეაბილიტაცია-აღდგენისათვის. ჩარიცხული კაპიტალური ტრანსფერები თავდაპირველად აღიარდება როგორც მოკლევადიანი გადავადებული შემოსავალი (ვინაიდან, როგორც მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის ნაწილი, მათი განკარგვა და ათვისება ჩვეულებრივ ხდება 12 თვიან პერიოდში). ჯგუფი როდესაც ათვისებს მიღებულ ტრანსფერს (გასწევს მიზნობრივ კაპიტალურ დანახარჯს), მიღებული ასიგნების შესაბამისი ნაწილი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი გადავადებული შემოსავალი. ეს უკანასკნელი კი, შესატყვისი ძირითადი საშუალების ცვეთის პროპორციულად, ბასს 20-ით დაშვებული მიდგომის შესაბამისად, ამორტიზირდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, შესაბამისი ცვეთის ხარჯის კომპენსაციის გზით.

14. მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
ქალაქ თბილისის მერიისგან:	32,971	29,436
გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	29,430	26,381
სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაცია	3,541	3,055
სხვა პირებისგან:	6,423	8,743
სამშენებლო ნარჩენების გატანა	6,150	4,290
სხვადასხვა მომსახურება	273	4,453
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	39,394	38,179

შემოსავალი მომსახურებიდან უკავშირდება სხვადასხვა პირებთან, მათ შორის ქალაქ თბილისის მერიასთან, სხვადასხვა მომსახურებების კონკრეტული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებს.

ჯგუფი ამგვარი მომსახურებიდან აღიარებს ამონაგებს (შემოსავალს), დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც საწარმო შეასრულებს ვალდებულებას დაპირებული მომსახურების დამკვეთზე გადაცემით, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

15. შრომის ანაზღაურება

2024 წელს შრომის ანაზღაურება შეადგენს 112,606 ათას ლარს, რომელიც მოიცავს თანამშრომლებზე დარიცხულ ყოველთვიურ ხელფასებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას და სხვა დანამატებს. (2023 წელი 93,456 ათასი ლარი)

16. გამოყენებული ნედლეულები და მასალები

2024 წელს გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ღირებულება შეადგენს 18,837 ლარს (2023 წელს – 17,752 ლარი). აღნიშნული ხარჯები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის აუცილებელ რესურსებსა და მასალებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების ან მომსახურების გაწევის პროცესში და აღიარებულია როგორც პირდაპირი ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოყენება ხდება

17. კომუნალური ხარჯი

კომუნალური ხარჯები მოიცავს ჯგუფის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კომუნალური სერვისების ღირებულებას, მათ შორის ელექტროენერჯის ხარჯი 16,415 ათასი ლარი, წყალმომარაგების ხარჯი 394 ათასი ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯი 81 ათასი ლარი და დასუფთავების ხარჯი 37 ათასი ლარი. ჯამში 2024 წელს კომუნალური ხარჯი შეადგენს 16,926 ათას ლარს. (2023 წელი - 17,792 ლარი).

18. საწვავის ხარჯი

2024 წელს საწვავის ხარჯი შეადგენს 13,518 ლარს და მოიცავს ჯგუფის სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საწვავისა და ენერგომატარებლების გამოყენების ღირებულებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია საოპერაციო საქმიანობასთან. (2023 წელი 12,936 ლარი).

19. საგადასახადო ხარჯი

საგადასახადო ხარჯის ჯამური ღირებულებულება 2024 წელს შეადგენს 6,052 ათას ლარს, რომელიც მოიცავს დარიცხულ ქონების გადასახადს (1,244 ათასი ლარი), დარიცხულ მიწის გადასახადს (303 ათასი ლარი) და პროპორციული წესით ჩაუთვლელი დღგ-ს თანხას, რომელიც მიმდინარე პერიოდში აღიარდა ხარჯად; (4,504 ათასი ლარი). (2023 წელი - 5,635 ათასი ლარი).

20. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს ჯგუფის საქმიანობის პროცესში დამხმარე ხარჯებს, მათ შორის გარე მომსახურების ხარჯებს - 3,475 ათასი ლარი, რემონტის ხარჯებს - 2,649 ათასი ლარი, კვების ხარჯებს - 1,290 ათასი ლარი, დაზღვევის ხარჯებს 1,093 ათასი ლარი, მოვლა შენახვის ხარჯებს - 445 ათასი ლარი, კომუნიკაციის ხარჯებს-289 ათასი ლარი, პარკირების ხარჯებს - 157 ათასი ლარი, აუდიტის მომსახურების ხარჯებს 115 ათასი ლარი, და სხვა ხარჯებს - 1,246 ათასი ლარი. (2023 წელი - 8,254 ლარი.)

21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ, შესაძლოა, შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში, ხოლო ფინანსური ვალდებულებები - ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ვალდებულებებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	30,100	5,291
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	6,507	14,506
სულ ფინანსური აქტივები	36,607	19,797
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	23,446	8,190
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,446	8,190

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტუალური ხანდაზმულობა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აღემატება სამ თვეს. ამრიგად, ჯგუფი თვლის რომ წარდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად ტოლია.

22. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

რისკები და რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	30,100	5,291
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	6,507	14,506
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	36,607	19,797

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც, ზოგადად, კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. ჯგუფის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნულის ტოლია ყველა საანგარიშებზე თარიღისთვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით. სავაჭრო დებიტორების მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია ინდივიდუალურად, თითოეული კონტრაგენტისათვის. შეფასება ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების ბუნებიდან გამომდინარე, ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე, საპროგნოზო და მაკროეკონომიკური ტენდენციებით, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ზოგადად, დებიტორების ამოღებადობაზე.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ, მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ აქვს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისათვის.

შპს “თბილსერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის, შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო საქმიანობის პროცესში ხელშეკრულებით გამოძევაებული და ქალაქ თბილისის მერიიდან საოპერაციო ხარჯების სუბსიდირებით მიღებული ფულადი ნაკადებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების შესაბამისად. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვები ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წლამდე	სულ
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	30,100	30,100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,507	6,507
სულ	36,607	36,607

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წლამდე	სულ
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	14,506	14,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,291	5,291
სულ	19,797	19,797

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წლამდე	სულ
ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორები	23,446	23,446
სულ	23,446	23,446

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 წლამდე	სულ
ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორები	8,190	8,190
სულ	8,190	8,190

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემციოდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა, შესაძლოა, მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

შპს “თბილისერვის ჯგუფი”

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის ჯგუფის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახლდათ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები ჯგუფისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. ჯგუფი იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნულ პირებთან ოპერაციებისა და ნაშთებისა, არ წარადგენს სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებსა და ნაშთებს. რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ოპერაციებს ისინი მოცემულია ქვევით.

ჯგუფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	2024	2023
ოპერაციები:		
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	32,971	29,436
მიღებული სუბსიდიები	159,675	112,695
უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივები (სხვა მოგება/ზარალი)	52	55
კაპიტალური ტრანსფერები	40,358	43,428
ნაშთები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,546	3,557

ხელმძღვანელობის ანაზღაურება:	2024 წელი		2023 წელი	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება

<i>შრომის ანაზღაურება:</i>				
- ხელფასები და დანამატები	501	-	407	-

24. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

2025 წელს ჯგუფის კაპიტალი გაიზარდა 12,907 ათასი ლარის ოდენობით.

ბალანსის შემდგომ პერიოდებში არ ყოფილა სხვა მოვლენები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით გამჟღავნებას ან კორექტირებას მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

25. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვევით მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, რომელიც პოტენციურად მნიშვნელოვანია, სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწერილ სააღრიცხვო მიდგომებთან ერთად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთებისა და მოვლენების აღსაქმელად. აღწერილი პოლიტიკა გამოყენებულია თანმიმდევრულად, ყველა წარდგენილ პერიოდში.

25.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა-შორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, შესატყვის მუხლებში.

25. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

25.2 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

25.3 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

25.4 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

აღიარებული ანარიცხის ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

25.5 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

25.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

25. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით.

რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საღარიბოში არსებულ ფულს და ბანკში არსებულ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დაარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

25.7 ახალი და შესწორებული სტანდარტები

ა) ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ბასს 1-ის შესწორებები: „ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად“ და „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“

ეს შესწორებები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მოკლევადიანად ან კოვენანტების მქონე გრძელვადიან ვალდებულებად („გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“), ასევე ჯგუფის მიერ გამოშვებული კონვერტირებადი იმ სავალო ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რომელსაც გააჩნია კონვერტაციის პირობა. ეს ცვლილება რეტროსპექტიულად არის გამოყენებული. ამ ცვლილების ამოქმედების შედეგად, 2023 წელს, გრძელვადიანად კლასიფიცირებულ კონვერტირებად სავალო ვალდებულებას მიენიჭა მოკლევადიანი ვალდებულების კლასიფიკაცია. ამ შესწორებებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის სესხებისა და ნასესხები სახსრების კლასიფიკაციაზე.

25. სხვა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: „მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები“

ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, თუმცა, მან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ჯგუფის მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების ხასიათის ასახსნელად.

ბ) ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მასასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, ჯგუფს ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს ჯგუფზე

ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების

ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად. ჯგუფი ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ჯგუფზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისათვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, არსებით გავლენას იქონიებს ჯგუფზე.

***** ფინანსური ანგარიშგების დასასრული *****

შპს თბილსერვის ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება

**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის**


1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა



- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურება;
- კომპეტენციის ფარგლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება;
- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის სფეროს რეგულირებისათვის საჭირო წესების,
- პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და მისი განხორციელება;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გადამუშავება, სამშენებლო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირებისას საჭირო აღჭურვილობის შეძენა და მართვა;
- დასუფთავების საკითხების მოწესრიგების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, სადრენაჟეჟსელების, სანიაღვრე კოლექტორების, ნაგებობების,
- წვიმმიმღებების, გვერდმიმღებებისა და საკონტროლო ჭების ექსპლუატაციის გაწევა;
- ქუჩებზე, მოედნებზე, გზატკეცილებზე, არსებული სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების, სანიაღვრეკოლექტორების ასევე სადრენაჟო ქსელის მიმდინარე შეკეთება;
- მოსახლეობის მომსახურება და მიმდინარე შეკეთების სამუშაოების წარმოება გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- ახალი სადრენაჟე ან/და სანიაღვრე ქსელის პროექტირებისას უკვე არსებულ ქსელზე ან სისტემაზე სწორად მიერთების მიზნით, ტექნიკური პირობის შეთანხმება;
- არსებული სადრენაჟე ან/და სანიაღვრე ქსელის დაზიანების პრევენციის მიზნით ნებისმიერი მიწისქვეშა სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმება;
- მარილის მოყრა თოვლცვენისა და სხვა საჭიროების დროს;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-
- პატრონობ და ექსპლუატაცია;
- კომპანიის საკუთრებაში, აგრეთვე სარგებლობაში არსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობა;
- გარე განათების ობიექტების მოვლა-პატრონობა და გაფართოების სამუშაოების შესრულება;
- ქუჩების, მოედნების, პარკების, ხიდების, გზატკეცილების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტლების, შენობა-ნაგებობების გარე განათების (მათ შორის არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის) უზრუნველსაყოფად საჭირო სანათი მოწყობილობების მიმდინარე შეკეთება, არსებული ქსელების რეკონსტრუქცია, კაპიტალური შეკეთება, ახალი ქსელების მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- დამფუძნებლის დემონტირებული ქონების (ბომბები, სანათები, პროექტორები, სადენები, კაბელები და სხვა) შენახვა-დასაწყობება კომპანიის ტერიტორიაზე და გამოსაყენებლად ვარგისი მოწყობილობების შემდგომი ექსპლუატაცია;
- ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების გატარება გარეგანათების ქსელში ელექტროენერჯის დანაკარგების შემცირების და უავარიო მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სანათი მოწყობილობებისა და ქსელების მოწყობა-შეკეთების მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე, სახელშეკრულებო ფასებითა და ტარიფებით;
- კომპეტენციის ფარგლებში საფენმავლო ხიდების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია;

**შპს “თბილსერვის ჯგუფი” მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- განათების ობიექტების, არსებული და/ან ახალი ქსელის მონტაჟის ან/და გადატანის პროექტირებისას ასევე არსებულ ქსელზე ან სისტემაზე სწორად მიერთების მიზნით, ტექნიკური პირობის შეთანხმება;
- არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელებში ხაზობრივი ნაგებობების ან კონსტრუქციების მოწყობის/მონტაჟის პროექტირებისას ტექნიკური პირობის შეთანხმება;
- ქალაქ თბილისის ქუჩებზე, საავტომობილო გზებისა და მის შემადგენელ ნაწილებზე, ელემენტებზე, ხელოვნური და დამცავნაგებობებზე საგზაო მონიშვნის სამუშაოების შესრულება;
- დამფუძნებლის გადაწყვეტილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების მოწესრიგების მიზნით ინერტული (სამშენებლო) ნარჩენებით მოსწორებით/ამოვსებით სამუშაოების წარმოება.
- დამფუძნებლის სხვა დავალებების შესრულება

როგოც დასაწყისში ავლინუნეთ, შპს თბილსერვის ჯგუფი ოპერირებას ანხორციელებ სხვადასხვა მიმართულებით, საქმიანობების მიხედვით კომპანიის შემოსავლები 2022-2024 წლებში მოცემულია დიაგრამა N1 სურათზე.





2. მიღწეული შედეგები

დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები; ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები; დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები; ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 13 344 751 მ² ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები; 5 508 017 მ² შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების ყოველთვიური დასუფთავების სამუშაოები; 2 112 200 მ² ხეებისა და ფერდობების ყოველთვიური დასუფთავების სამუშაოები; 12 930 მ² მიწისქვეშა გადასასვლელების ყოველთვიური დასუფთავების სამუშაოები;

**შპს “თბილსერვის ჯგუფი” მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

3 601 896 მ² სკვერების ყოველთვიური დასუფთავების სამუშაოები.

გარეგანათე ბის ღონისძიებები

ქ.თბილისის მასშტაბით განხორციელდა გარეგანათების ქსელისა და შენობების მხატვრული მინათების ქსელის ექსპლუატაციის მომსახურება, კერძოდ:

- გარეგანათების ქსელის ექსპლუატაცია სანათი წერტილების რაოდენობა 150 148 ერთეული
- შენობების, არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ექსპლუატაცია, სანათი წერტილების რაოდენობა 19 287 ერთეული

სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელები

ქ.თბილისის მასშტაბით სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების მომსახურება, კერძოდ შესრულებული სამუშაოები 2023 წლის განმავლობაში :

სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მომსახურება/ექსპლუატაცია 2024 წ.		
სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა
ექსპლუატაცია		
სანიაღვრე კოლექტორების შემოწმება შიგ გავლით	მ	8433
სანიაღვრე კოლექტორების შემოწმება სპეც ტექნიკის საშუალებით (CCTV ვიდეო კამერით, ე.წ. ვიდეოთვალით)	მ	851.69
სათავე ნაგებობის გაწმენდა	ც	42
სანიაღვრე წვიმმიმღების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებისა და საკონტროლო ჭების გაწმენდა	ც	41197
ბეტონის კიუვეტის წმენდა ხელით	გრძ.მ	48857
გრუნტოვანი კიუვეტების გაწმენდა ხელით	გრძ.მ	1477
გრუნტის კიუვეტის გაწმენდა მექანიზმით	მ	723
სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც. ტექნიკის გამოყენებით	მ	123000
დაზიანებული ცხაურების, ყრუ ხუფების შეცვლა (მასალა-ნაკეთობების ფასის გათვალისწინებით)	ც	260
გვერდმიმღების ხუფები შეცვლა	ც	40

საავტომობილო გზების მონიშვნის სამსახურის მიერ გზების მონიშვნა

ქ.თბილისის მასშტაბით განხორციელდა საავტომობილო გზების მონიშვნის მომსახურება, კერძოდ შესრულებული სამუშაოები 2024 წლის განმავლობაში :

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს საგზაო მონიშვნის სამსახურის მიერ გზების მონიშვნა	
	კვ.მ
აკრილი თეთრი	2 900.06
ცივი პლასტი თეთრი	19 219.07
ცივი პლასტი წითელი	4 337.31
ცივი პლასტი ყვითელი	915.50
თერმო პლასტი თეთრი	7 639.21
წაშლა	1 833.54
გაშრობა	7512.03
მორეცხვა	1 629.97

კომპანიაში დასაქმებული პირთა საშუალო რაოდენობა:

- 2022 წელი 5047
- 2023 წელი 5219
- 2024 წელი 5319

3. კომპანიის ქონება და კაპიტალი

კომპანიის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის. კომპანიის ქონება შეიძლება იყოს: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ქონება; კომპანიის მიერ შეძენილი ქონება; ქონების მიღების სხვა წყაროები, რაც არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით; კომპანიის შემოსავლის წყაროებია: დამფუძნებლის მიერ კომპანიისთვის გადაცემული ფულადი სახსრები; საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების, საწარმოების, გაერთიანებების, ფონდების, სპონსორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შემოწირულობანი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. კომპანიაში საკუთი კაპიტალის შესყიდვას ადგილი არ ქონია. კომპანიის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 20 ში. კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

ფილიალები და სამსახურები:

- ცენტრალური ოფისი: კახეთის გზატკეცილი N67, თბილისი
- დასუფთავების სამსახური: ბელიაშვილის ქ. N119-121
- გარე განათების სამსახური და სამოადვრე სამსახური თვალჭრელიძის ქ. N41ა

4. კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას სრულად ახორციელებს დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი, დირექტორი ინიშნება უვადოდ ან დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული ვადით. კომპანიის დირექტორი: მოქმედებს კომპანიის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში; კომპანიის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს; კომპანიის მიზნების მისაღწევად იყენებს კომპანიის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ქონებას, მატერიალურ სახსრებს, წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იძენს და განკარგავს ქონებას, ამასთან კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია მატერიალური სახსრების მიზნობრივ და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე; ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს კომპანიის საფინანსო და სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტაციას; ამტკიცებს კომპანიის შინაგანაწესს, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებს; ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, ახდენს მათ შორის ფუნქციების გადაწარმოებას, განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საჭიროების შემთხვევაში ქმნის საკონსულტაციო ორგანოებს (საბჭო, კომისია, სამუშაო ჯგუფი) და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს; ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს; კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებებს; ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. აქციების შესყიდვა

კომპანიას არ შეუსყიდია აქციები.

6. კვლევები

კომპანიას არ ჩაუტარებია კვლევები

7. კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის შინაგანაწესი (შემდგომში - „შინაგანაწესი“) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზნებია:

- კომპანიისათვის დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობა;
- შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა;
- სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება; სამსახურებრივ მოვალეობათა ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა;
- დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის
- დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრა; კომპანიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დეტალურადაა გაწერილი თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმას.

8. გარემოს და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი.

განვითარების მიმართულებები

1) ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემის მოდერნიზაცია

მიზანი: გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესება და ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების შემცირება.

მოქმედებები:

- თანამედროვე ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის აშენება;
- ნარჩენების შეგროვების სისტემის ოპტიმიზაცია და გადამამუშავებადი მასალების განცალკევება;
- მოსახლეობის ჩართულობის პროგრამები
- საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ნაგავსაყრელის ტევადობის გაზრდა მინ. 30%-ით;
- ნარჩენების გადამამუშავების მაჩვენებლის ზრდა 15–20%-მდე;
- ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირება და მწვანე ქალაქის პრინციპების დანერგვა.

2) ავტოპარკისა და სპეციალური ტექნიკის განახლება

მიზანი: ქალაქის დასუფთავებისა და სერვისების ეფექტიანობის ზრდა.

მოქმედებები:

- ძველი სპეცტექნიკის ჩანაცვლება ენერგოეფექტური, დაბალემისიური მანქანებით;
- სპეციალური ნაგავსამტარი, სანიაღვრე და დასუფთავების მანქანების შეძენა;
- ტექნიკური სერვისცენტრების მოწყობა;

მოსალოდნელი შედეგი:

- მომსახურების რეაგირების დროის შემცირება 30%-ით;
- ტექნიკის გამართულობის მაჩვენებლის ზრდა 90%-მდე.

3) სანიაღვრე და ინფრასტრუქტურული ქსელების რეაბილიტაცია

მიზანი: ქალაქის ინფრასტრუქტურის გამართულობა და წვიმის წყლის სწრაფი გადინების უზრუნველყოფა.

მოქმედებები:

- არსებული სანიაღვრე ქსელების რევიზია და წმენდა;
- ახალი სანიაღვრე არხებისა და ჭებების მოწყობა;
- ამხანაგობებთან თანამშრომლობა შიდა ეზოების დრენაჟის გასაუმჯობესებლად;

**შპს “თბილისერვის ჯგუფი” მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- მიწისქვეშა გადასასვლელებისა და კანალიზაციის მოვლა.

მოსალოდნელი შედეგი:

- დატბორვების შემთხვევების შემცირება 40–50%-ით;
- სისტემების გამტარიანობის გაზრდა;
- ქუჩებისა და უბნების უსაფრთხოების გაუმჯობესება.

4) ენერგოეფექტურობა

მიზანი: ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურის დანერგვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

მოქმედებები:

- ქალაქის გარე განათების ქსელის განახლება LED სანათებით;
- ელექტროენერჯის ხარჯვის შემცირების პროექტები;
- ეკოლოგიურად სუფთა (ელექტრო ან ჰიბრიდული) ტექნიკის დანერგვა;
- მწვანე სივრცეების მოვლისა და გაფართოების პროგრამა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ელექტროენერჯის ხარჯის შემცირება 35%-ით;
- CO₂ ემისიის შემცირება ათასობით ტონით წელიწადში;
- ეკოლოგიური ინდექსის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია ცალკეული ოპერაციების არარსებობა მყარი ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელის მართვის სისტემებს შორის. ამასთან, სატარიფო კანონმდებლობა ზღუდავს შემოსავლის წყაროს, აქედან გამომდინარე მომხმარებლის მიერ მომსახურების ანაზღაურება ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ის რეალურად ღირს. სუსტ მხარეებს მიეკუთვნება ქალაქის მხრიდან წილობრივი შენატანის აღრიცხვა საწესდებო კაპიტალში, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გამჭვირვალობაზე. ძირითად ფინანსურ და კომერციულ საფრთხეს წარმოადგენს ტარიფის რეგულირება, რომელიც ტარიფის კორექტირების მხოლოდ მცირე შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისთავად ზრდის კომპანიის ბიუჯეტზე დამოკიდებულებას და კომუნალურ სუბსიდირებას ქალაქის ბიუჯეტიდან. კომპანიაში ყველა ოპერაცია მიმდინარეობს ეროვნულ ვალუტაში ამიტომაც ვალუტის კურსის ცვალებადობა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას არ ახდენს შემოსავალსა და აქტივების ღირებულებაზე. რაც შეეხება საკრედიტო რისკს, აქტიურად მიმდინარეობს დებიტორებთა მონიტორინგი და იურიდიული პროცესები რაც მარტივს ხდის თანხის მიღებას. კომპანიას სესხები არ გააჩნია. კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდურობის რისკი, ყველა ვალდებულების დასაფარად გამოყოფილია სუბსიდიები, წინასწარ ხდება ყველაფრის დათვლა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმება.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, მმართველობითი ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა
დირექტორი

ბექა გოგილიძე
დირექტორის მოადგილე
საფინანსო-ანალიტიკურ დარგში

**შპს “თბილისერვის ჯგუფი” მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- მიწისქვეშა გადასასვლელებისა და კანალიზაციის მოვლა.
- მოსალოდნელი შედეგი:
 - დატბორვების შემთხვევების შემცირება 40–50%-ით;
 - სისტემების გამტარიანობის გაზრდა;
 - ქუჩებისა და უბნების უსაფრთხოების გაუმჯობესება.

4) ენერგოეფექტურობა

მიზანი: ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურის დანერგვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

მოქმედებები:

- ქალაქის გარე განათების ქსელის განახლება LED სანათებით;
- ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების პროექტები;
- ეკოლოგიურად სუფთა (ელექტრო ან ჰიბრიდული) ტექნიკის დანერგვა;
- მწვანე სივრცეების მოვლისა და გაფართოების პროგრამა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება 35%-ით;
- CO₂ ემისიის შემცირება ათასობით ტონით წელიწადში;
- ეკოლოგიური ინდექსის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია ცალკეული ოპერაციების არარსებობა მყარი ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელის მართვის სისტემებს შორის. ამასთან, სატარიფო კანონმდებლობა ზღუდავს შემოსავლის წყაროს, აქედან გამომდინარე მომხმარებლის მიერ მომსახურების ანაზღაურება ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ის რეალურად ღირს. სუსტ მხარეებს მიეკუთვნება ქალაქის მხრიდან წილობრივი შენატანის აღრიცხვა საწესდებო კაპიტალში, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გამჭვირვალობაზე. ძირითად ფინანსურ და კომერციულ საფრთხეს წარმოადგენს ტარიფის რეგულირება, რომელიც ტარიფის კორექტირების მხოლოდ მცირე შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისთავად ზრდის კომპანიის ბიუჯეტზე დამოკიდებულებას და კომუნალურ სუბსიდირებას ქალაქის ბიუჯეტიდან. კომპანიაში ყველა ოპერაცია მიმდინარეობს ეროვნულ ვალუტაში ამიტომაც ვალუტის კურსის ცვალებადობა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას არ ახდენს შემოსავალსა და აქტივების ღირებულებაზე. რაც შეეხება საკრედიტო რისკს, აქტიურად მიმდინარეობს დებიტორებთა მონიტორინგი და იურიდიული პროცესები რაც მარტივს ხდის თანხის მიღებას. კომპანიას სესხები არ გააჩნია. კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდურობის რისკი, ყველა ვალდებულების დასაფარად გამოყოფილია სუბსიდიები, წინასწარ ხდება ყველაფრის დათვლა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმება.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, მმართველობითი ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 12 ნოემბერს.

გიორგი პაპავა
დირექტორი



ბექა გოგილიძე
დირექტორის მოადგილე
საფინანსო-ანალიტიკურ დარგში